

№3- 294

08.11.2018

სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი  
ცენტრის იურიდიული სამმართველოს  
უფროსს ბატონ გიორგი ხაზარაძეს



**საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა**

ბატონო გიორგი,

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა  
ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და  
სოციალური დაცვის სამინისტროდან გამოითხოვა ინფორმაცია იმის თაობაზე თუ  
რა ზომებს მიმართა სამინისტრომ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი  
ცენტრის „სურსათში ტყვიასთან ასოცირებული რისკის შეფასების ანგარიში“-ს  
რეკომენდაციების საპასუხოდ. სამინისტროდან მიღებულ პასუხს გიგზავნით  
დანართად.

გთხოვთ გვაცნობოთ,

- დამაკმაყოფილებელია თუ არა სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-  
კვლევითი ცენტრისათვის თანდართული პასუხი?
- თუ არ არის დამაკმაყოფილებელი, რატომ?
- რა ზომებს მიმართავს ცენტრი იმისათვის, რომ სამინისტრომ  
ზემოაღნიშნული რეკომენდაციები შეასრულოს?

გთხოვთ, მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტის  
მისამართზე [vakhtang@csrdg.ge](mailto:vakhtang@csrdg.ge).

პატივისცემით,



ვახტანგ კობალაძე  
პროგრამის კოორდინატორი

მოქმედებს  
www.moxmarebeli.ge

www.moxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს







საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის,  
ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

Ministry of Internally Displaced Persons from the Occupied Territories,  
Labour, Health and Social Affairs of Georgia



KA030110511897018

საქართველო, თბილისი 0119, აკ.წერეთლის გამზ.144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ცხელი ხაზი: (+995 32) 251 00 26; 15 05; ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge  
144 Ak.Tsereteli ave., 0119, Tbilisi, Georgia; Tel: (+995 32) 251 00 11; Hot line: (+995 32) 251 00 26; 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/9143-ს

07 / ნოემბერი / 2018 წ.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და  
განვითარების ცენტრის  
პროგრამის კოორდინატორს  
ბატონ ვახტანგ კობალაძეს

ბატონო ვახტანგ,

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში 2018 წლის 25 ოქტომბერს შემოსული თქვენი N3-284 წერილის პასუხად, გაცნობებთ შემდეგს:

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიმართ გამოითქვა შემდეგი რეკომენდაციები:

სისტემატიური ეპიდემიოლოგიური კვლევების ჩატარება სისხლში ტყვიის შემცველობის დადგენაზე; სკოლამდელი ასაკის ბავშვებსა და 20 - 40 წლამდე ქალებში (სავალდებულო კვლევა ფეხმძიმე ქალებში ფეხმძიმობის პირველ ტრიმესტრში) სსიპ -ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩაატარა რამდენიმე მცირემასშტაბიანი კვლევა. რადგან აღნიშნული კვლევების დიზაინი არ გულისხმობდა შემთხვევითი შერჩევის პრინციპს რეგიონულ და სხვა განაწილებაზე, მისი შედეგების განვრცობა მთელს ქვეყანაზე და პრობლემის მასშტაბებზე საუბარი არამართებულია. ხოლო იმისათვის, რომ გვეჩვენოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინფორმაცია თუ რა მასშტაბის პრობლემასთან გვაქვს საქმე, აუცილებელია ქვეყნის მასშტაბის კვლევის ჩატარება.

სწორედ ამიტომ სამინისტრომ და ცენტრმა თხოვნით მიმართა გაეროს ბავშვთა ფონდს, რომელიც წელს უკვე მესამედ ახორციელებს მრავალინდიკატორულ პოპულაციურ კვლევას (MICS) და კვლევას დაემატა ტყვიის მოდული, რომელიც გულისხმობს ვენური სისხლის აღებას 2-7 წლის ბავშვებში და სპეციალური კითხვარის შევსებას. სისხლის ნიმუშები შემდეგ გაიგზავნება იტალიის ჯანმრთელობის ეროვნულ ინსტიტუტში. MICS ყველაზე დიდი საერთაშორისო კვლევაა მსოფლიოში, რომელიც, შერჩევის დიდი მოცულობის წყალობით მონაცემების ქალაქის, სოფლის, რეგიონის, ასაკის, სქესის, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის და სხვა მახასიათებლების მიხედვით ჩაშლის შესაძლებლობას იძლევა. კვლევის შედეგად მივიღებთ მონაცემებს როგორც ქალებისა და ბავშვების ჯანმრთელობის, ასევე სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ მთელი ქვეყნის მასშტაბით. კვლევა დაიწყო 25 სექტემბერიდან და გაგეგმება წლის ბოლომდე; კვლევა ტარდება სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის, ცენტრის და სხვა დონორი ორგანიზაციების ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. კვლევა ჩატარდება საქართველოს ათივე რეგიონში და საქსტატის წარმომადგენლები ესტუმრებიან როგორც ქალაქის, ასევე სოფლის ტიპის დასახლებებში 14,000-ზე მეტ შინამეურნეობას. კვლევის შედეგები ცნობილი გახდება გაზაფხულზე. ამ მტკიცებულებებზე დაფუძნებით ადამიანის უფლებების საერთაშორისო ხელშეკრულებების, გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს მთავრობას წარედგინება შესაბამისი პრევენციული, საკანონმდებლო და სხვა სახის ინტერვენციები.

გარდა ამისა, ამერიკის დაავადებათა კონტროლისა და პროფილაქტიკური ცენტრების და ცენტრის მიერ „მიკრონუტრიენტთა დეფიციტის ზედამხედველობის გაძლიერების“ კოლაბორაციული პროექტის ფარგლებში, 2015 წლიდან ხორციელდება ნუტრიციული ზედამხედველობის სისტემის ფორმირება და განვითარება. ამ ეტაპზე ზედამხედველობის სიტემაში ჩართულია სისხლის და შარდის ლაბორატორიული კვლევის კომპონენტი რკინის, ფოლატის და იოდის დეფიციტის გამოსავლენად როგორც ბავშვთა, ასევე

ორსულთა კონტინგენტში. 2019 წლიდან სისტემაში ჩაერთვება სისხლში ტყვიის კონცენტრაციის განსაზღვრის კომპონენტიც.

მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა ადამიანის ჯანმრთელობაზე ტყვიის ზემოქმედების უარყოფით ეფექტთან, მისი მიღების წყაროებსა და ასაკით განპირობებულ ექსპოზიციასთან დაკავშირებით ტყვიის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა და ტყვიასთან დაკავშირებული რეკომენდაციების გაცემა დაავადებათა კონტროლის ცენტრის მიერ მუდმივად ხორციელდება, გარდა ამისა, ტარდება სამუშაო შეხვედრები, მრგვალი მაგიდები ექიმებთან, პროფესიულ ასოციაციებთან, და სხვ. გვაქვს მჭიდრო კავშირი გარემოსა და სურსათის ეროვნულ სააგენტოებთან.

ტყვიასთან დაკავშირებული მასალები შეგიძლიათ იხილოთ ცენტრის ვებ-გვერდზე: [www.ncdc.ge](http://www.ncdc.ge).

პატივისცემით,

საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი

ღონისძიებათა დაგეგმვისა და  
საზოგადოებასთან ურთიერთობის  
სამმართველოს უფროსი, მეორადი  
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/  
შტამგადასმულია  
ელექტრონულად



სოფიო უმიკაშვილი